ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 649

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მდებარე №41 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.041), ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. №86-ში მდებარე №32 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.712.01.01.032) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მდებარე №41 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.041), ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. №86-ში მდებარე №32 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.712.01.01.032) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.1995.2244 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მე-6 სართულზე მდებარე 88.2 კვ.მ ფართობის №41 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.041); ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ. №86-ში, +27.20 ნიშნულზე მდებარე 48.4 კვ.მ. ფართობის №32 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.712.01.01.032) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში (ბლოკი „ა") პირველ სართულზე მდებარე 64.90 კვ.მ. ფართობის №1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მიხეილ ჯიბუტისთვის (პ/ნ. 01025004224), თამარ ბარბაქაძისთვის (პ/ნ. 01025009818); ნინო ჯიბუტისთვის (პ/ნ. 01024064661) და სალომე ჯიბუტისთვის (პ/ნ. 01024051681) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ

ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე